საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5804
03/10/2022

5804-21-2-202210031411

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4372 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულია 1%-იანი უზრუნველყოფის კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე, მაშინ, როცა საპროექტო ნაგებობა (ბეტონის კედელი და ქვანაყარი ბერმა) გათვლილია 3%-იან უზრუნველყოფაზე. საჭიროა პროექტში მოცემული იყოს საანგარიშო უზრუნველყოფის შესაბამისი ჰიდროლოგიური მახასიათებლები;
- ჰიდროლოგიურ ნაწილში ცხრილ №13-ში მოცემული საანგარიშო დატბორვის დონეები ცდება საკვლევი უბნის საზღვრებს, რადგან საპროექტო განივ კვეთებზე დატანილი შესაბამისი დონეები განსხვავდება ცხრილში მოცემული სიდიდეებისგან;
- შესაბამის განმარტებას საჭიროებს პროექტში გამოყენებული წყლის ხარჯის სხვადასხვა საანგარიშო უზრუნველყოფა (2% და 3%);
- შესაბამის განმარტებას საჭიროებს ქვანაყარი ბერმის 98 მ სიგრძის მონაკვეთზე ნაგებობის თხემის ამაღლება დატბორვის დონიდან, რომელიც იცვლება 0,145 მეტრიდან 1,1 მეტრამდე. დატბორვაზე მარაგის მინიმალური მნიშვნელობა შეადგენს 0,5 მეტრს. გარდა ამისა, ქვანაყარი ბერმა მდებარეობს მდინარის მრუდხაზოვან უბანზე, ამდენად, აქ ჰიდროლოგიური მახასიათებლები განსხვავებული უნდა იყოს კალაპოტის სწორხაზოვანი უბნისაგან;
- ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს ქვანაყარი ბერმის ამგები ლოდების ფრაქციული შემადგენლობა;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო